# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 57

2019წ. "19" 03

ქ. თბილისი

**შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. ცვლილება განხორციელდეს შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №79 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შპს ინტერბიზნესის აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები“

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პრაქტიკოსი ექთანი | მეხუთე | პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552 | 150 | ქართული | 61 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების დონე/საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სადაზღვევო აგენტი (1) | მეოთხე საფეხური | სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020254 | 87 | 117 | ქართული | 48 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |
| 2 | ბუღალტრული აღრიცხვა (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156 | 99 | 129 | ქართული | 24 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |
| 3 | საოფისე საქმე (1) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369 | 59 | 89 | ქართული | 24 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |
| 4 | ღონისძიების ორგანიზება (1) | მეოთხე დონე | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში 020370 | 61 | 91 | ქართული | 24 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი (1) | მეხუთე საფეხური | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112063 | 95 | 125 | ქართული | 48 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |
| 6 | ინფორმაციის ტექნოლოგია (1) | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171 | 60 | 75 | ქართული | 12 | ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8 |

*(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში."*

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 19 მარტი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 19 მარტის №4 სხდომის ოქმის მეჩვიდმეტე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე